კადისის (ესპანეთი) უნივერსიტეტის საბაკალავრო სტიპენდიები 2012/2013 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ჰუმანიტარული და იურიდიული ფაკულტეტების ბაკალავრიატის II და III სასწავლო წლის სტუდენტებისთვის კადისის უნივერსიტეტში (www.uca.es) გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად.

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ესპანური ენის ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ქართულ და ესპანურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (ესპანურ ენაზე)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდითა და შესაბამისი ხელმოწერით დამოწმებული)
- რეკომენდაცია
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- სასურველია ესპანური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი
- პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი

კადისის უნივერსიტეტი გაცვლით სტუდენტებს ათავისუფლებს სწავლების გადასახადისაგან. ესპანეთში ყოფნის ყველა სხვა ხარჯი (ბინა, კვება, მგზავრობა და სამედიცინო დაზღვევა) უნდა დაიფაროს სტუდენტის მიერ.

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 30 ოქტომბრის 12 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 121, ელ-ფოსტა: ani.chelishvili@tsu.ge).

შენიშვნა: **დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!**